# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
## ბრძანება N 01-09/433

ქ. ბათუმი 28 ივლისი, 2017 წ.

**ბსუ-ს ფიზიკა - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის" მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ბსუ-ს ფიზიკა - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 19 ივლისის MES 5 17 00851770 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს ფიზიკა - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის" მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტთა სია, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა ამოიწურა 2017 წელს, ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №116 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი''-ს, ბსუ-ს ფიზიკა - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 19 ივლისის MES 5 17 00851770 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს ფიზიკა - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის'' მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ პროფესიულ სტუდენტთა *(დანართი N1)* მიმართ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2017 წელს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (აქვთ აკადემიური დავალიანებები).

2. დაინტერესებულ პირებს *(დანართი N1)*, ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 5 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35.

4. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2017 წლის 01 აგვისტოს შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

დანართი 1

ფიზიკა - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესიული

| № | გვარი და სახელი | პირადი ნომერი | სპეციალობა | ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი |
|---|---|---|---|---|
| 1 | არველაძე ნოდარი | | კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი | 01-09/874. 18.11.2016 |
| 2 | გოგიჩაიშვილი გიორგი | | კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი | 01-09/874. 18.11.2016 |
| 3. | კიკნაძე გიორგი | | კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი | 01-09/874. 18.11.2016 |
| 4. | მგალობლიშვილი გოგა | | კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი | 01-09/874. 18.11.2016 |
| 5. | მოისწრაფეშვილი ირაკლი | | კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი | 01-09/874. 18.11.2016 |